წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ხუთშაბათი, 15 ოქტომბერი 1915 წ. № 117

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакціи „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ოქტომბრიდან წლის დამლევამდე ღირს 2 მ.—70 კ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

გაზ. „საქართველოს“ რედაქცია

აუწყებს თავის მკითხველებს, რომ 20 ღვინობისთვიდან გაზეთი „საქართველო“ გამოვა გადიდებულ ფორმატით და უკეთეს ქაღალდზე.

მოწვეულნი არიან საუკეთესო ქართველი მწერლები.

გაზეთს ჰყავს მუდმივი კორესპონდენტები საქართველოს გარედ: **პარიზში** (საფრანგეთი), **ლონდონში** (ინგლისი), **პეტროგრადში, მოსკოვში და კიევში.**

ადგილობრივად: **ბათომში, ქუთაისში, ზუგდიდში, ოზურგეთში, გორში, თელავში, სიღნაღში, ახალციხეში, ართვინში, ყარსში და საქართველოს ყველა დიდ სოფლებში.**

განსაკუთრებული კორესპონდენტები **აჭარა-შავშეთ-იმერხევიდან და კავკასიის ბრძოლის ველიდან.**

„ხარფუხის კლუბი“

საზამთრო სადგომი მიხეილის პროსპექტი № 129—131

პროგრამა 15—18 ოქტომბრამდე.

ხუთშაბათს, 15 ოქტომბერს სიმებიანი ორკესტრი ბ. პრესმანის ლოტბარობით.
პარასკევს, 16 ოქტომბერს სინემატოგრაფი,—საზანდარი.
შაბათს, 17 ოქტომბერს საოჯახო საღამო.
კვირას 18 ოქტომბერს სიმებიანი ორკესტრი, ბ. პრესმანის ლოტბარობით.

სინემატოგრაფის დასაწყისი საღამოს 8 საათზე. მოდგენების $8^1/_2$ ს.

სტუმრები კლუბში შესასვლელად ჩვეულებრივ ფასს იხდიან.

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობა

ამით აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ მიმდინარე 1915 წლის, 18 ოქტომბერს, **კვირას, დილის 10 საათზე, ახალ კლუბის** დარბაზში (სასახლის ქ.) დანიშნულია წევრთა

არაჩვეულებრივი კრება

განსახილველია: ახალი წევრების მიღება, წარსული წლის ანგარიში, გამგეობის და საზოგადოების განყოფილებათა მოხსენებანი, სიმშილობა, გამოქცეულთა საკითხი, სარევიზიო კომისიის არჩევა, ინსტრუქციის მიღება, ახალ ქართულ კულტურულ კავშირთა კავშირში მონაწილეობის მიღება და სხ. 1—3

ახლად დაარსებული საამხანაგო

ფქვილის საწყობი „რ ა ჭ ა“

ჰყიდის მეპურებზე და კერძო პირებზე ფქვილს ხელმისაწვდომ ფასებში. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 3. —18

ამერიკული ვაზი

თ. დ. ჩოლოყაშვილის ქიაურის მამულში, კახეთში, სიღნაღის მაზრაში, გაშენებულ სანერგეში იყიდება სხვა და სხვა ჯიშის **ამერიკული ვაზის რქა** და სამყნელად მომზადებული იმავე ვაზის **ფესვიანი ძირები;** აქვე იყიდება **გარეული კომშის ნერგი სამყნობად.**

შეკვეთა და პირობების გაგება შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ, улица Бѣлинскаго, № 2, Ираклію Тазіеву. 10—6

გადაწერას საწერ მანქანის

საშვალებით და საწერ მანქანაზე

მუშაობის სწავლებას

ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს

ი. თ. გვათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა. **ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—6 საათ, ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კბილის ექიმმა

მამულაიშვილი

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ქ. გორში

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ექიმი

ბ. მ. მუხაძე

იღებს **სადოსტაქრო** ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: ტატიანის ქუჩა, მიხეილის ქუჩის ახლო, სახლი 6. ზემო სართული. ტელეფონი № 3—92.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის

კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქუჩა № 36, მეორე სართული.

ხილეული, მადნეული და სამკურნალო წყლის

ქარხნები

მ. ე. ლალიძე და ამხ.

თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების საყურადღებოდ!

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: **სვან ყოველთვის მხოლოდ და მარტო მიტროფანე ლალიძის** და **ამხანაგობის ქარხნის საუკეთესო** ხილეულ მადნეულის სამკურნალო წყალი. **მხოლოდ ლალიძის წყალი** მზადდება **უმაღლესი ღირსების ბუნებრივი** მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, **მოითხოვეთ ყველგან** ნამდვილი **ლალიძის წყალი,** გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

ვკისრულობთ

გადავაკეთოთ, გავწმინდოთ და ახლათ შევღებოთ საქალებო და სავაჟო

ქუდები

სპეციალურად ვწმენდავთ სავაჟო

„კოტელოკებს“ და „ცილინდრებს“.

აგრეთვე ვწმენდავთ პლიუშს, ხავერდს, და ვაკეთებთ გინგლს.

ვახუჭუჭებთ და ვწმენდავთ სირაქლემას ფრთას და ბოას.

ქუდების სახელოსნო **დ. გ. გვახარიასი**

გოლოვინის პროსპ. № 39.

სახელოსნოს ძალუძს სხვა მან-
ქანებზე ... არ მოეპოვება.

გამოცდილი მასწავლებელი ქალი

ხელმისაწვდომ ფასად ამზადებს ქალ-ვაჟთ გიმნაზიებისა და საკომერციო, რეალ და საქალაქო სასწავლებლებისათვის, აგრეთვე თბილისის ქართულ ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებისათვის. შეიძლება ოჯახშიც მიწვევა.

მისამართი: კირპიჩნის შესახვევი, № 12. ოთახი კალანდაძისა. ნახვა შეიძლება ყოველ-დღე. —4

მეტი სიფხიზლე და ანალიზი კავშირების შედგენისას!

ყველაფრიდან სჩანს, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება წარმატების გზაზე დგება და რომ მის ნამდვილ საჭიროებასთან შეხამებული და ეროვნულად მიზანშეწონილი აზროვნება და პრაქტიკული მოქმედება თანდათან იფართოვებს სარბიელს და უფრო და უფრო იუფლებს საზოგადოების მოქმედების სხვადასხვა დარგს. ნაცვლად ადრინდელი დაქსაქსულობისა და დაფანტულობისა, ნაცვლად, აგრე ვსთქვათ, ანარქიული, კერძოობითი მოქმედებისა, ძალაში შემოდის მიდრეკილება შეჯგუფებისაკენ, ორგანიზაციულად მოწყობისაკენ. სუსტ და მცირე-ნაყოფიან განთიშულ საქმიანობის ადგილს საქმიანობის მაღალი ტიპის სისტემა იჭერს, სახელდობრ შეერთებული, შეკავშირებული, ამხანაგობრივი მეთოდი მუშაობისა. სწარმოებს ენერგიათა და ძალთა კოორდინაცია, შეერთება, თავის მიზნით უფრო დიადი და ზოგადი, ვიდრე თითეული შეუგნებელი კაცის განმარტოებული მოქმედებაა, ხოლო თავის ძლიერებით და შედეგობრივი ნაყოფიერებით მრავალ ასკეც უფრო ინტენსიური. თანდათან ვშორდებით საქართველოს სოციალ ცხოვრებაში ადამიანის მოქმედების პირველყოფილ ფორმას და უფრო თანამედროვე და კულტურულ სახეს ვიძენთ. ჩვენი საზოგადოებრიობა დაბალიდან მაღალ საფეხურზე გადადის. დღესავით ნათელია, რომ დაქსაქსულობა, ენერგიის დაფანტულობა, უსისტემობა და ზედ-მიუყოლელობა აზროვნებასა თუ პრაქტიკულ მოქმედებაში ვერც ერთ ჩვენს სატკივარს ვერ განკურნავს; თანდათან შეგნება შემოდის, რომ ხსნა მარტო ორგანიზაციებშია, სოციალ თანამშრომლობაში, კოოპერატივებში, ენერგიათა შეჯგუფებაში საერთო საჭიროებისა და საქვეყნო მიზნის კმასაყოფელ—მისაღწევად. ეს ტენდენცია ჩვენს სინამდვილეში აშკარად არის გამოსახული. მისი არცნობა, არ-დანახვა ან უარყოფა არ შეიძლება. თითეულ შეგნებულ ქართველის მოქმედების უნარსა და მამულის სიყვარულზე ჰკიდია, თუ რა ტემპით ივლის ეს ტენდენცია და თუ რამდენად უფრო მალე მიაღწევს თავის დასრულებულ სახეს. თითეული შეგნებული მამულიშვილის სიფხიზლეზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ერთგვარი ელემენტი მოიყრის თავს ზოგად და საზიარო მიზნის მისაღწევად, თუ რამდენად შეეხამება შემდგარი და განზრახული კავშირის თუ ამხანაგობის თვით ბუნება დასახულ მიზანს, ერთი სიტყვით თუ რამდენად უპასუხებს სოციალი და ბუნებრივი მიდრეკილება თითეულ შემადგენელ ელემენტისა მთელი კავშირის, ამ კოლექტიურ ერთეულის მიზან - სახულებას. აქ შესაძლებელია აღრევა, გაუგებრობა, რაიცა ამხანაგობის ნაყოფიერებას შესუსტებს და შეჰქმნის უხეირო პსიხოლოგიურ ატმოსფერას და დაშლისა და დარღვევის სულისკვეთებას გაამეფებს. ასეთი საფრთხე ყოველის გზით უნდა ვარიდოთ ისეთ დიად საქმეს, რომლისგანაც ხსნასა და შველას გამოველით. ერთ-ერთ ჩვენს წინა წერილში აღნიშნული გვქონდა დიდად საგულისხმიერო მოვლენა ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ორგანიზაციის ზრდის საქმეში. მოგახსენებთ „კახეთის წვრილ კრედიტთა კავშირის დაარსებასა და მთავრობისაგან მის დამტკიცებას. ვამბობდით, ერთგვარი მიზნისა და ერთგვარი ღონისძიება-მეთოდის მქონი ამხანაგობათა შეერთება და კავშირი, როგორც ბუნებრივი ემანაცია თითეულის ზრდის ტენდენციისა, წესსა და ჰადარიგს შეიტანდა ამ ორგანიზაციათა ცხოვრებაში და ფართე მაშტაბის მეთოდიურ მუშაობას მისცემდა ამ დარგში ქართველთა ენერგიის მოქმედებას. ვამბობდით რომ კავშირი გახდებოდა ცენტრალი რეგულიატორი.

ერთგვარობა შემადგენელ ელემენტების — თითეული წვრილი კრედიტის ამხანაგობისა — **ერთგვარობა თითეულ ამხანაგობის სალსრისა, საშუალებისა დ მოქმედების ხასიათისა** ამის უტყუარ თავმდებად მიგვაჩნდა. აქ სადისონანსო ელემენტი არც ერთ შემადგენელ ერთეულს არ შეაქვს კავშირში. მაშასადამე კავშირი, თუ გნებავთ, იგივე გაზრდილი გაფართოებული, გაუნივერსებული ელემენტ-ერთეულია. მაშასადამე, სრული ჰარმონია და ხმა-მწყობრობა უნდა გამეფდეს შემდგარ ერთეულსა და შემადგენელ ერთეულებ შორის. ნაყოფიც აშკარა და უეჭველია.

დღეს აქ აზრად გვაქვს შევეხოთ მეორე ახალ კავშირს, რომელიც იდეიური ხასიათისაა. სახეში გვაქვს **„ქართული საკულტურო-საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირი“,** რომელიც ამ

დღეებში დაამტკიცა კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ.

ამ კავშირის მიზანია:

ა) ქართველის ხალხის კულტურის და განათლების საჭიროებათა ყოველმხრივი შესწავლა და მათ დასაკმაყოფილებლად სათანადო ზომების მიღება და ბ) კავკასიის სამეფისნაცვლოში მომქმედ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა მოქმედების გაერთიანება. (წესდების პირველი პუნქტი). ამ კავშირის დამაარსებლად ითვლებიან ჯეროვანის რწმუნებით აღჭურვილი სავმჯდომარეები: 1) ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, 2) საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და 3) ქართველთა სამეურნეო საზოგადოებისა. (წესდების მესამე პუნქტი).

აღვნიშნავთ კიდევ ერთ პუნქტს წესდებისას (მეხუთეს):

5) კავშირის წევრად შესვლა შეუძლიანთ მხოლოდ კავკასიის სამეფინაცვლოს საზღვრებში მომქმედს ლეგალურს ქართველთა კულტურულ-განმანათლებელს საზოგადოებებს.

თავისთავად უთუოდ ჩინებული იდეა, თავისთავად უთუოდ და **ყოვლად საჭირო ორგანიზაცია, ნამდვილად** და თავის გამოთქმულის სახით-კი ერთგვარ უკმაყოფილებასა იწვევს თქვენში და მის ბედის შესახებ მწუხარებასა ტ ეჭვს გიძრავთ. პატივცემულ დამაარსებელთ ვერ დაუძლევიათ ეს დიდი იდეა და ყოველმხრივ ვერ გაუთვალისწინებიათ მიზანი და ხასიათი თითეულის, ამ კავშირში შემსვლელის კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოება—წევრისა და თვით კავშირის მიზანი და ხასიათი. კულტურა ფართე ცნებაა. მრავალია და ნაირ-ნაირია მისი დარგი. ჯერ ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება რომ ავიღოთ, ისიც რამდენიმე სექციისაგან შესდგება და თავისი სპეციფიური პროგრამა აქვს. მას სპეციფიური მოქმედებაც ახასიათებს. საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება დიდად კულტურული დაწესებულებაა, რომელიც დაუფასებელს ამაგს სდებს ქართულ კულტურას. ამ საზოგადოების პროგრამა სპეციფიურია, დიდად განსხვავებული წერა-კითხვის საზოგადოების პროგრამისაგან. მას ახასიათებს სპეციფიური მოქმედება. ესევე შეიძლება ითქვას უმოქმედობაში გაყინულ ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების შესახებ, ესევე შეიძლება ითქვას აგრეთვე ნორჩ ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებისა და სხვათა შესახებაც. თითეული მათგანი კულტურასა და განათლებას ემსახურება, მაგრამ ერთი მეორისაგან დიდად განირჩევა უშუალი მიზნისა და საშუალება-მეთოდის მხრივ. თუმცა ყველა ერთ საგანს ემსახურება—ეროვნულ კულტურას—მაგრამ მათში **სხვა და სხვაობაა და არა ერთგვარობა** მიზნისა და საშუალების მხრივ. ამიტომაც მათი კავშირი ძალა-უნებურად მოკლებულია შინაურ ცხოველმყოფელ შეთანხმებას თითეულ შემადგენელ წევრ-ერთეულის მიზან-საღსართან.

მაშასადამე კავშირი არ არის ბუნებრივი გაგრძელება თითეულის შემდგენელის ელემენტისა; იგი არ არის, ეგრე ვსთქვათ, გაუნივერსებული შემადგენელი წევრი. აქ მარხია შინაგან დისონანსი ნაწილებსა და მთელ შორის. აქ არის ძირითადი განსხვავება ამ კავშირსა და ზემოდ აღნიშნულ საკრედიტო ამხანაგობათა კავშირ შორის.

ასეთი სხვა და სხვა გვარი ერთეულების კავშირის შედგენა მეტ წინასწარ მუშაობასა და მომზადებას მოითხოვს. ეს თვით ერთი სერიოზული საეტიუდო პრობლემაა და მისი სიმპლისტური გადაწყვეტა დიდ სარგებელს ვერ მოუტანს თავისთავად მშვენიერ იდეას: ნაცვლად ცხოველმყოფელ და შემომქმედ ერთარს და ერთ-ბუნება ცენტრალი ორგანოსი, ხელთ გვექნება უსახო და უსიცოცხლო ალიაჟი. ხოლო თუ, როგორც პირველი პუნქტის პირველ ნახევარშია ნათქვამი, ეს კავშირი ქართული ხალხის კულტურის და განათლების საჭიროებათა ყოველ მხრივ შესწავლას და მათ დაკმაყოფილებას ემსახურება,—იგი თვით გამოდის ცალკე ერთეულად, რომელიც უნდა მოჰყვეს ყველა კულტურულ საზოგადოების ნამდვილად გაგებულ კავშირის ფარგალს. საჭიროა მაშასადამე ამ ახალის კავშირის წესდება-პროგრამის გადასინჯვა; საჭიროა ამ კავშირის მიზნისა და მოქმედების ბუნების მეტი გამორკვევა და შეხამება სხვა და სხვა გვარ შემადგენელ ელემენტებთან. სახე კავშირისა არ უნდა ბადებდეს დისონანსის და შეუხამებლობის გრძნობას. ამ მხრივ ყველაფერი გასაკეთებელია.

საზოგადოება „კახეთი“ და მისი მომავალი

ყველამ იცის, თუ რა არის კახეთის მევენახეთა საზოგადოება: „კახეთი“; მაგრამ აქამდისაც ბევრი ეჭვის თვალით უყურებს ამ საზოგადოებას, რაკი ერთხელ წაიბორძიკა და მის კეთილდღეობას ზადი მიეცა. მაგრამ ისინი, ვინც თვალყურს ადევნებენ ამ საზოგადოების საქმეებს და ახლო უდგანან თვით საქმეს, კარგად ხედავენ, რომ უკანასკნელ წლებში ხსენებული საზოგადოება თვალსაჩინოდ გაიზარდა, მომაგრდა, და დღეს მკვიდრ ნიადაგზედა სდგას. ამ მომაგრებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის, რასაკვირველია, ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო კომისიას, რომელმაც „კახეთის“ საზოგადოებას დახმარების უხვი ხელი გაუწოდა მაშინ, როდესაც საზოგადოების საქმე შეირყა. ხოლო ამ უკანასკნელ ერთ წლის განმავლობაში კახეთის გაღონიერების უმთავრეს ღერად გადაიქცა დღევანდელი მსოფლიო ომი, რომელიც თავისს დასაწყისში თითქმის სიკვდილით დაემუქრა ღვინის გაყიდვის აკრძალვით, მაგრამ შემდეგ ნირი შეიცვალა და ფულმაც უხვად იწყო დენა. საქმეები თვალსაჩინოდ გასწორდა, ვალები განელდა და თავისუფალი თანხებიც მოგროვდა, რომლის საშუალებით საზოგადოებას შეუძლია შეასწოროს ის ნაკლი, რომ გაჭირვებულ წევრებს თავის დროზედ ვერ უსწორდებოდა. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ წრევანდელ მოუსავლობაში, როდესაც ქართველის ათასგვარ გაჭირვებას ბუნების სიმუხთლეც ზედ დაერთო, საზოგადოებას შეეძლება გაცილებით უკეთეს პირობებში მიიღოს ღვინო წევრებისაგან და უფრო პირნათლადაც გაუსწორდეს მათ, ვიდრე ეს ჩვეულებრივა ხდებოდა. გამგეობამ უკვე დაურიგა წევრებს წერილობითი განცხადება, რომ ღვინის შეფასება მოხდება თავის დროზედ, რომ ყველა ღვინო უნდა ჩაჰბარდეს საზოგადოებას და რომ **ერთი მესამედი** შეფასების ჯამისა ღვინის დაბეჭდვისათანავე მიეცემა წევრსა. ეს გარემოება საყურადღებოა იმ მხრივ, რომ წევრები იძულებულნი არ იქნებიან ვარეშე პირებზედ გაყიდონ ღვინო, რასაც, საუბედუროდ, ადგილი ჰქონდა ხოლმე წარსულ წლებში.

მაგრამ უმთავრესი შედეგი „კახეთის“ საზოგადოების აღორძინებისა იმაში უნდა ვეძებოთ, რომ დღეს საზოგადოებას სრული უფლებაც და შეძლებაცა აქვს გარდაიქცეს მთელ კახეთის შემაერთებელ ორგანიზაციად, იმ კახეთისა, რომელიც დღემდის სულსა ღაფავს ათასგვარ ჩარჩ-წურბელების ხელში. ის ძვირფასი ნაწარმოები, რომელიც შეადგენს კახეთის სიამაყეს და სიმდიდრეს, დღემდის უფრო უცხო და გარეშე ჩარჩ-ბაცაცებს ასუქებდა, ვიდრე თვით მწარმოებელს. ჩვენდა სასიხარულოდ „კახეთის“ საზოგადოებას შეძლება მიეცა ამ წლიდანვე შეუდგეს ღვინისა და წევრთა რიცხვის გაფართოება-გადიდებას. წრეულ საზოგადოებამ განიზრახა-დაუკავშირდეს ადგილობრივ სამეურნეო და საკრედიტო კოოპერატიულ ორგანიზაციებს, რომლის შემწეობით საზოგადოებას შეეძლება როგორც ადგილობრივ მკვიდრთა ინტერესების დაცვა და მათი გადარჩენა ჩარჩებისაგან, ისე მთელი თვისი საქმის ფართე ნიადაგზედ დაყენება. ამ განზრახვის აღსრულებაში მოსაყვანად „კახეთის“ საზოგადოებას ძალ-ღონეცა და შეძლებაც შესწევს. თუ როგორ კონკრეტულ ფორმებში შეიძლება ჩამოყალიბდეს ისეთი გაერთიანებული მოქმედება ადგილობრივი ორგანიზაციებისა და „კახეთის“ მთავარი წარმოებისა,—ამაზედ შემდეგ მოგახსენებთ. დღეს მკითხველის ყურადღება უნდა შევაჩერო იმ მოვლენაზედ, რომ ახლად დაარსებული „კავშირი კახეთის საკრედიტო დაწესებულებათა“ [illegible] ორგანიზაცია არის, რომელსაც საკმაო კონტინგენტი ჰყავს როგორც წევრებისა ისე მომუშავე ინტელიგენციისა. კავშირის ხელმძღვანელთ, რომელთაც უკვე გამოიჩინეს ცხოველმყოფელი ენერგია ადგილობრივ საქმეთა მოწესრიგებაში, უეჭველია ბუნებრივი გასავალი დასჭირდებათ იმ დარგისათვის, რომელსაც დღეს ადგია მთელი „კახეთი“, სახელდობრ,—მეღვინეობას, და ეს ბუნებრივი გასავალი და გამსაღებელი კახეთის ნაწარმოებისა—სწორედ „კახეთის“ საზოგადოება არის. რამდენადაც ჩვენ ვიცით, ადგილობრივ მოღვაწეთ ეს აზრი კიდევაც ჰქონიათ წინასწარ მოფიქრებული და წინააღმდეგნი არ არიან „კახეთის“ საზოგადოებასთან ერთად იარონ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი. ამის თაობაზედ კერძო ხასიათის მოლაპარაკებაც სწარმოებს და სრული იმედია ახლო მომავალში ეს დიდი ეროვნული საქმეც ხორცს შეისხამს. „კახეთის“ საზოგადოების საქმეები კარგად არის და ეს უაღრესი სტიმულია, რომ მისმა სარდაფებმა მიიზიდონ მთელი ის ღვინო, რასაც მისი მხცოვანი სეხნია კახეთი აწარმოებს. ძალა სწორედ ამ ერთობაშია და სწორედ აქეთკენ უნდა მივმართოთ ის ძალები, რომელნიც ამ დარგში იხარჯებიან.

„კახეთის“ წევრი.

ომის ამბები

ქურნალ-გაზეთებიდან

სატახტო ქალაქი.

სერბეთის მთავრობას სატახტო ქალაქი ნიშიდან მონასტირში გადააქვთ, სადაც მოკავშირე სახელმწიფოთა ელჩებმა უკვე თავი მოიყარესო.

გზის გადაჭრა.

ლონდონში დიდს მნიშვნელობას აძლევენ ენასში მოკავშირეთა ჯარის გადასხმას. მათ შეუძლიანთ ადრიანოპოლიდან ფრაკიასა და დედეგაჩზე მიმავალი რკინის გზა გადასჭრანო.

რას ფიქრობენ პარიზში.

პარიზში ფიქრობენ, იტალეთი მხოლოდ ბულგარეთის ნაპირებს ალყას შემოარტყავს და ეს იქნება მისი ომში ჩარევაო.

თავგამოდებით მუშაობენ.

ერთი რუსი კორესპონდენტი ათინაში მოხვედრილა და რამდენიმე დღე დარჩენილა. იგი მოგვითხრობს, მიუხედავად იმისა, რომ ბალკანეთზე მოკავშირეებმა ჯარი გადმოსხეს, მდგომარეობა ათინაში არ შეცვლილა და გერმანელებს მაინც დიდი გავლენა აქვთ ბერძნებზე არა თუ მარტო სატახტო ქალაქში, არამედ მთელ მხარეშიო. გერმანელების დიპლომატები თავგამოდებით მუშაობენ და სადაც კი ფულია საჭირო, არა ჰზოგავენო. უმეტეს ნაწილად გაზეთები გერმანელების ხელშიაო. გერმანელების აგენტები სასახლეში იყრიან თავსაო.

ზემოსევა საქართველოში არაბეგისა მე-8 საუკუნეში (698—739 წ.)

(გაგრძელება. იხ. „საქართ.“ № 116)

დაიძრა აჰმათის ლაშქრობა საქართველოსკენ; დამორჩილებული სომეხთ-ალბანია გაიარა და ეს უთვალავი ჯარი საქართველოს საზღვრებში შემოვიდა. ეს იყო ხალიფა ველიტის მეფობის პირველს წელს და მაშასადამე 705—706 წ. ორიოდ წელიც დამასკოდან ქართლს შემოსევამდი გავიდა და ქართველ მატიანეებში არ შენახულა ცნობები აჰმადისა და ქართველთ ლაშქრობის შეტაკებაზე. სამაგიეროდ შენახულა ერთი მოთხრობა მეათე საუკუნის მწერლის კათალიკოზის ბასილისა, რომელსაც ეს ისტორიული მოთხრობა გადმოუწერია მერვე საუკუნეში თანამედროვესაგან ჩაწერილ ამბავიდან[1]) ეს მოთხრობა მეტად მოკლეა, მაგრამ მეტად საგულისხმიერო ცნობას გვაძლევს აჰმადის ლაშქრობის მოძრაობისას მცხეთიდამ გორამდი და აქიდამ ოძრახემდი. ხოლო აჰმადისგან ტაო-კლარჯეთში მყოფობას და მისს ჰანების მთავრისგან დამხობას მოგვითხრობს ამ ამბების თანამედროვე ბერი გეევონდი, ცნობილი სომხის მემატიანე VIII საუკუნისა. ამ ორს ძვირფასს ცნობებს ჩვენ დავურთავთ აქა-იქ ვახუშტის გეოგრაფიაში და სომეხთა მატიანეებში განბნეულ წვრილმან ცნობებს. შევაკავშირებთ რა ყველა ამა მასალებს ლოღიკურის ძაფით, ჩვენ წარმოგვიდგება შემდეგი საკმაოდ მთლიანი სურათი აჰმათის ლაშქრობის მოძრაობისა საქართველოში და მისის დამხობისა.

სტეფანოზ მეფე, როგორც საქმის მიმდინარეობიდან სჩანს, დაუხვდა აჰმათის ლაშქრობას საზღვარზე (706 წ. ახ.), შეება მტერს, მაგრამ, თანახმად მისის გეგმისა, მალე გააბრუნა ჯარი საქართველოსკენ. მტრის ლაშქარი მას გამოედევნა. გზა-გზა ბევრი შეტაკება მოუვიდა, მტერს ბევრი ავნო; თვისს ჯარს მაინც უფრთხილდებოდა და გადასაწყვეტ ომში შებმის ნებას არ აძლევდა, ნელ-ნელ იხევდა, სანამ სასომხეთის საზღვრებიდან საქართველოს მაგარ ციხეებს არ მიატანა.

პირველი დიდი ციხე, სადაც მეფე სტეფანოზმა დიდხანს შეაყენა არაბების ლაშქრობა, იყო რუსთავი, ანუ მტკვრის ციხე, რომელსაც მერმინდელ დროში ხუნანი ეწოდებოდა. როდესაც აქ საკმაოდ დიდხანს გამაგრდა სტეფანოზ და ციხე ვერ უძლებდა მტრის გამუდმებულ იერიშს, ქართველთა ლაშქრობა თბილისს ორს ციხეში (კალას და ისანს) შეიხვეწა. მტერი ფეხ-და-ფეხ მისდევდა მეფეს და გარშემოიცვა თბილისის ქალაქი და მისი ციხეები.

ქალაქი მალე დაიმორჩილა მტერმა, მაგრამ რომ ციხეები ვერ აუღიათ ეს იქიდამ სჩანს, რომ მერვე საუკუნის ნახევარში ისევ ქართველებს ეჭირათ და თუმცა ხაზარებმა ჯუვანშერის მეფობაში გასტეხეს ეს დიდი სიმაგრე, მაგრამ მაინც ქართველთ ხელში ყოფილა და მხოლოდ 846 წელს (ე. ი. თითქმის 140 წლის შემდეგ აჰამადისა) არაბებმა ფეხი შედგეს ვალის ციხეში და აქ დაყენეს თბილისის ემირი ანუ ამირა=(მმართველი).

თბილისიდან არაბთ ლაშქრობა კვალდა-კვალ მისდევს მეფეს სტეფანოზს, რომელიც ახლა არმაზის და მცხეთის ციხეებში ჩამჯდარიყო თავისის ჯარით. მტრებს მცხეთის ბელტის ციხე აუღიათ და ქალაქი მცხეთაც გაუნადგურებიათ. მაგრამ არმაზის ციხე რომ ვერ აუღიათ ეს იქიდანა სჩანს, რომ მურვან-ყრუის შემოსევამაც ვერ დასცა ეს დევური ნაშენები.

აქ არაბების ჯარი ორად გაიყო: უმთავრესი ჯარი აჰმადის მეთაურობით მტკვრის მარცხენა მხრით გ ეკიდა სტეფანოზის ლაშქრობას, რომელიც მცხეთიდან კასპის ციხისკენ დაიძრა წილკან-მუხრანის მაშინდელ სამხედრო გზით. მეფე კასპს შევიდა და გამაგრდა. მეორე ნაწილს ჯარისას აჰმათმა უთავა თავისი უკეთესი სპასპეტები ომარ და ბურულ [2]) და ამათ უბრძანა განეგრძოთ არმაზის ციხესთან ბრძოლა და მტკვრის მარჯვენა ნაპირით წამოსულიყვნენ; გზაზე რაც ციხეები დახვდებოდათ, აეღოთ (ციხე დიდი, სარკინეთი და სხ.) ეს ჯარი მთავარ ლაშქარს უნდა შეჰყროდა გორის ციხესთან.

ეს ორად გაყოფა მტრის ლაშქრობისა, ე. ი. მისი დასუსტება, მეფე სტეფანოზის ოსტატობა იყო. ომარ და ბურულმა მაინც არმაზი ვერ აიღეს, მაგრამ „ციხე-დიდი“ უეჭველად აუღიათ. ეს ციხე იქიდან სჩანს, რომ ეს ციხე მარჯვენა ნაპირს მტკვრისას ჰკეტავდა და იმის აუღებლად წინ წასვლა მტრებისა შეუძლებელი იყო. ჩვენი წყაროც ჰმოწმობს, რომ „ომარ და ბურულ მიიწივნესო სოფელსა „ციხე-დიდს“ და განაგრძობს: „იხილეს პირის-პირ (ციხე-დიდისა) კლდეთა შინა სარკინისათა გამოქნილი იგი ქვაბები; დადგეს და თქუეს: ისი სიმაგრენი უკეთუ არა გამოვიხუნეთ, **სირცხვილ იყოს ჩვენდა და არცა სულტანმან (აჰმად) შეგვინდოს ულებ მყოფელთა ამისთა;**=ე. ი. თუ ეს ციხე აუღებელი დავტოვეთ, აჰმადი გაგვირისხდებაო.

ცხადია, რომ ომარს და ბურულს სირცხვილად მიაჩნდათ, რომ გზა-გზა რომელიმე აუღებელი ციხე დარჩენოდათ, რადგან ასეთი ბრძანება ჰქონიათ სულტანის ჰამადისაგან, და საშიშარიც იყო ზურგს უკან სიმაგრეების დატოვება. ძველად მარტო იმ შემთხვევაში დასტოვებდენ ხოლმე ზურგს უკან აუღებელ ციხეს, თუ მის გარშემო „შურის-ციხეს“ აუგებდენ: ე. ი როცა ციხის გარშემო სხვა სიმაგრეებს გაუკეთებდენ, შიგ საკმაო ჯარს და სურსათს დასტოვებდენ, რომ ციხეში მყოფნი ვერ გამოსულიყვნენ თავდასასხმელად. უსათუოდ ომარ ტ ბურულიც ასე მოქცეულა: შურის ციხეები, ანუ სიმაგრეები გაუკეთებიათ არმაზისთვის და ერთი წილი ლაშქრისა აქ დაუყენებიათ, ე ი. თავისი ჯარი დაუსუსტებიათ,—არმაზს დიდი სამსახური გაუწევია მეფე სტეფანოზისთვის!

სარკინეთის ციხის სიმაგრემ თვით ალექსანდრე მაკედონელის უძლეველი მხედრობა გააჩერა; იმ დროს ეს იყო ფხვიერს კლდეში გამოკაფული ქალაქი, მიუვალი ქვაბები. მაკედონელის ჯარმა რა ვერა გააწყო რა, იქ დაბარგდა, ქართველებს გამოსასვლელი გზები შეუკრა, უწყლოდ და უსაზრდოობით უნდა ამოეწყვიტა. შემწყვდეულმა ჯარმა შიმშილით ამოხოცვისაგან თავი იმით იხსნეს, რომ რბილი კლდე შიგნიდან გახვრიტეს მეორე მხრისკენ (სხალტბისკენ) და მტრისგან შეუნიშნავნი ქვაბებიდან გაიკრიფნენ. ასე მოგვითხრობს ძველი ქრონიკა 716—717 წელში გადაწერილი.[3]) მართალია, შემდეგს საუკუნოებში სარკინეთს ძველი მნიშვნელობა დაეკარგა და აჰმადის შემოსევის დროს აქ არც ციხე იყო და არც ქალაქი, მაგრამ უმეტესი ნაწილი მაინც ძველად გამოკაფულის ქვაბებისა იქნებოდა. ქართველი ხიზნობა აქ თავს შეაფარებდა, ციხედ აქცევდა და აი სწორედ ეს იქნებოდა მიზეზი იმისი, რომ ომარმა და ბურულმა ამ ციხის აღება მოინდომეს, მტკვარს გავიდნენ და უსათუოდ ამ სიმაგრეებზე იერიში მიეტანეს, მაგრამ ვერა დააკლეს-რა და შერცხვენილნი უკან გაბრუნდენ.[4])

(შემდეგი იქნება)

თ. ჟორდანია.

---

[1]) ამისი დასაბუთება იხ. ჩემს „ქრონიკებში“ I, 344—5. აქ დავსძენ მხოლოდ, რომ ეს ძვირფასი ცნობა ბ. საბინინს უპოვნია ერთს ძველს შიო მღვიმის ხელნაწერში და იქიდან გადმოუბეჭდია „სამოთხეში“. 1901 წელს ესევე ცნობა ვიპოვეთ სხვა ხელნაწერში და შედარებამ აღმოაჩინა, რომ საბინინს სწორედ გადმოუბეჭდია.

[2]) „ხოლო ამიერ მდინარისა მტკვრისა წარავლინა სპასპეტნი თვისნი ომარ და ბურულ=(ბასილ კბის მოთხრობა: იხ. ჩემი ქრონიკები I, 345—6)

[3]) შატბერდის და ჭელიშის ვარიანტები. თუმცა ჩვენი მეისტორიენი ალექსანდრე მაკედონელის ქართლის შემოსევას უარჰყოფენ იმის გამო, რომ ამაზე ბერძნების და მსოფლიო ისტორიაში არა სწერიაო, მაგრამ სცდებიან: მაკედონელის შემოსევას კავკასიაში აღიარებენ სომხის მატიანეები და ხალხის თქმულებანი; ამასვე იგულისხმებს და თხოულობს თვით მიმდინარეობა იმდროინდელ ისტორიულ მოვლენათა. ამასთან მეტად თავხედი უნდა იყოს მეცნიერი, რომელიც ასე ადვილად აფუჩეჩებს ცნობებს 716 წელს გადაწერილ ქრონიკებისას, რომლის პირს მოუღწევია ჩვენს დრომდი მეათე საუკუნის ხელნაწერში.—თუ ბერძენ-რომაელთა მატიანეებს ამისთანა ცნობები არ აღუნუსხავთ, ეს მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ მათი მატიანეები ნაკლულევანებია და ამ მათს ნაკლულევანებას ადგილობრივი სომეხ-ქართველთ მატიანეები ავსებენ. როდესაც **ადგილობრივი წყაროები** აღმოაჩინა მეცნიერებამ, მხოლოდ მაშინ გაჩნდა ნამდვილი ისტორია და გამოაშკარავდა ისიც, რომ ბერძნების ძველი მემატიანეები (გერადოტიდან დაწყებული) ისტორიის მაგიერ ზღაპრებს გვაწვდიდენ, ტყულიებს სთხზავდენ, განსაკუთრებით აზიის სახელმწიფოებზე.

[4]) წმ. დავით აღმაშენებელისგან დევნილი მოღალატე ძაგანი და მისი ძმა მადისტას 1092—1099 წლებში აქ ამ ქვაბებში შეეფარნენ თავისის ჯარით და ამათი იქიდან გამოყვანა განთქმულს მეფეს დიაღაც გაუჭირდებოდა, რომ თვით მღვიმის ბერები არ დახმარებოდენ მეფეს (გზა-ხვრელების ჩვენებით), როგორც მეფე ამას ამოწმებს 1123 წელს მისგან დაწერილს საკუთარის მიის ხელით დამტკიცებულს შესანიშნავს „ანდერძში“ ქართულ-რუსული ტექსტი ამ ჩემგან პოვნილის დაუფასებელ ისტორიულ საბუთისა იხ. ჩემს Завѣщаніе Груз. царя Св. Давида Возобновителя стр. 3—6; 8—10; აგრეთვე ჩემი „ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა“, გამოცემანი ეპ. ალექსანდრესი 1896 წელს, გვ. 17—18.

მიუხედავად ყველა ამისა, მოკავშირეებს დიდი იმედი აქვთ, რომ საბერძნეთი მოგვემხრობაო.

ოსმალეთის ხალხი.

როგორც ბუქარესტიდან იუწყებიან კონსტანტინოპოლში აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი ბულგარეთის ელჩის სასახლის წინაშე და ელჩს მადლობა გადაუხადაო. ელჩმაც სამადლობლო სიტყვით მიმართა ხალხსაო.

რუსული გაზეთი გერმანიაში.

გერმანეთში რუსულ ენაზე გამოუციათ გაზეთი, სადაც თურმე ათავსებენ ისეთის შინაარსის წერილებს, რომელიც გერმანელების ცხოვრებას აცნობს და გერმანულ სწავლას პროპაგანდას უწევს. გაზეთებს ტყვეებს აწვდიან.

——

„რუსკოე სლოვო“ სწერს: დაჰკრა საათმა და უნდა გადასწყდეს ბედი ახლო-ბელ აღმოსავლეთისა და თვით გერმანელების სახელმწიფოებისა: გერმანეთის და ავსტრეთისაო. ვილჰელმმა მიიმხრო ბულგარეთი და ეხლა ჰსურს ისტორიის ჩარხი თავის გემოზე შეატრიალოს და გზა გაიკვეთოს აღმოსავლეთის ქვეყნებისკენ—აზიისკენ. რასაკვირველია, გერმანელები ბევრს რამეს დაჰპირდებიან თავიანთ მომხრეებს. ოსმალეთს ჰპირდებიან ეგვიპტის დაპყრობას, სპარსეთის შემოერთებას და ტრიპოლის დაბრუნებას. ფერდინანდს ვილჰელმი ჰპირდება არა მარტო მაკედონიას სალონიკით და მშვენიერ ნაწილს სერბეთისას, არამედ ოსმალეთის სატახტო ქალაქს. როგორც სჩანს, გერმანეთი დარწმუნებულია, რომ იარაღის და ოქროს ძალით ოსმალეთის სულთანი დასთანხმდება თავის ტახტი ყაირსა, ან ბაღდადში გადაიტანოს. რასაკვირველია, ეს თვით ოსმალებშიაც ღიმილს გამოიწვევს, მაგრამ არის ადგილი, სადაც გერმანეთის პროპაგანდა დიდს ნაყოფს იღებს. ეს არის ბულგარეთი თავის გაუნათლებელ ხალხით, რომელიც ვილჰელმის ჰიპნოზს ეძლევა და იმედი აქვს ფერდინანდს კონსტანტინოპოლში შევა და ბულგარეთს ახალ ბიზანტიად აქცევს.

სროლა რიგასთან.

უკანასკნელ ცნობით გერმანელები რიგას მიუახლოვდნენ. 5 ოქტომბერს ზარბაზნის საშინელი სროლა იყო, რომლის ხმაურობაზედაც ქალაქში მინები იმტვრეოდა და ნიადაგი ზანზარებდა. რიგის ახლო-მახლო ასეთი საშინელი სროლა ჯერ არ ყოფილა.

სერბეთის წინააღმდეგ.

საბერძნეთიდან მოსულ ცნობების მიხედვით, ბულგარეთის ჯარი მონასტრისაკენ იღაშქრებს, რათა სრულიად სერბეთის მაკედონია დაიპყრან. ნემოტინთან ბულგარელების ორი იერიში მოგერებულ იქმნა. ჩრდილოეთიდან სერბეთის ჯარმა პოზიციებს თავი მიანება და ჩრდილოეთით წამოვიდა. გერმანელები და ავსტრიელები სერბეთის დასავლეთ მხარეს თავს ანებებენ და პლავისკენ მოდიან, რათა ოსმალებს და ბულგარებს ჩქარა მიეშველონ. სერბეთის წრეებში ამბობენ: ვრანია ბულგარეთის ცხენოსანმა დაიპყრო.

აქეთ-იქით ეწევიან.

საბერძნეთის მთავრობასთან ყოველდღე მოლაპარაკება აქვთ მოკავშირეთა ელჩებს. ხელშეკრულობის მიხედვით საბერძნეთის დღევანდელ მთავრობის დამოკიდებულობა სერბეთთან ჯერ-ჯერობით ოფიციალად არ არის, მაგრამ ვენიზელოსის კაბინეტი დარწმუნებულია, რომ მოკავშირეთ არ ეჭაშნიკებათ ამ საკითხის გამო შემუშავებული აზრი. ამასთანავე ფიქრობენ, საბერძნეთის და სერბეთის ხელშეკრულობა საბერძნეთს ომში ჩარევას აიძულებს იმ შემთხვევაშიაც კი, თუნდაც ბალკანეთზე უცხო ქვეყნების ჯარი იბრძოდესო.

როგორც ამბობენ მოკავშირე სახელმწიფოთა დიპლომატებს ერთმანეთში აზრის დიდი გაცვლა-გამოცვლა აქვთ, რათა ერთის აზრით შეიარაღებულნი გამოვიდნენ ათინაში. ამ გამოსვლის მიზანია, საბერძნეთი გადმოიმხრონ. შესაფერი წინადადება უკვე მომზადებული ყოფილა და ამ დღეებში გამოქვეყნდებაო. მეორეს მხრით ბულგარეთ-გერმანეთის დიპლომატიაც თავისას სცდილობს, რათა საბერძნეთი მოკავშირეებს არ მიემხროს.

რა აზრით ომობს.

როდესაც გაიგეს იტალეთში, რომ რუსეთმა ბულგარეთს ომი გამოუცხადაო, ამ ამბავს სიხარულით შეეხვდნენ. იტალეთის მთავრობა ჰხედავს რა თავის ხალხში ერთგვარ მოძრაობას, გულისხმად ჰყოფს მცხოვრებთ, რომ იტალეთი იმიტომ კი არ იბრძვის, რომ ძველად დაკარგული ადგილები დაიბრუნოს, არამედ იბრძვის, რათა ორ მებრძოლ ჯგუფის შუა არ გაიჭყლიტოსო.

როდის ჩაერევა ომში?

ბულგარეთის და ავსტრო-გერმანეთის გალაშქრებამ სერბეთის წინააღმდეგ რუმინეთისთვის საჭოჭმანო საკითხად გადაიქცა. ვის მიემხროს? ვარდარის ველზე მიმოსვლის შეწყვეტის გამო რუმინეთი ხმელთაშუაზღვაში ვეღარ გასულა. რუმინეთი რომ სერბეთს მიემხროს, მაშინ სალონიკიდან საომარ მასალას თუ სხვა სურსათს ვეღარ მიიღებს. ამიტომ რუმინეთი გამოსვლას მხოლოდ იმ შემთხვევაში გაბედავს, უკეთუ მოკავშირენი დიდ ძალ ჯარს გადასხავენ ბალკანეთში და სალონიკში მიმავალ რკინის გზას დაიცავენ გერმანელებისაგან.

უკანასკნელი ფოსტა

ინგლისის მეფე საფრანგეთს გაემგზავრა, ჯარების დასათვალიერებლად. მეფეს აზრად აქვს მოკავშირეთა ჯარებიც მოინახულოს.

——

საბერძნეთის მეფემ ეს უკანასკნელი კვირა ჯარების დათვალიერებას მოანდომა.

——

გონეკონში (ჩრდილო-ამერიკაში) აღმოუჩინეს ვიღაც ფაის ხუთი ფოლადიანი ნაღმი. გაჩხრიკეს ფაის ბინა. მრავლად აღმოაჩნდა თვითამფეთქი მასალა და ჯოჯოხეთის მანქანები. ბ-ნი ფაი გერმანეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში მოხელედ ნამყოფია და აპრილიდან ამერიკაში სცხოვრობს, ფაიმ განაცხადაო, ამბობს გაზეთი „უორლდი“, ამერიკაში იმიტომ ჩამოვედი, რომ სამხედრო სურსათით დატვირთული გემები ამეფეთქებინაო.

——

რიგის მიდამოები დაცარიელდა. საპოლიციო ნაწილები დაიკეტა.

——

ავსტრიელებმა დაიპყრეს ტეკიუ და კლადოვესაკენ მიეშურებიან.

——

ბურგასსა და ვარნაში გერმანეთის დიდძალმა ჯარმა თავი მოიყარა, რადგანაც ამ ადგილებში რუსის ჯარებს მოელიან.

——

ქალაქ მინსკში ცეპელინებმა 13 ყუმბარა ჩამოაგდეს.

——

„რეჩი“ ამბობს, როგორც სჩანს გერმანელებმა გადასწყვიტეს რიგის აღება, თუნდაც ამან მთელი ფონ ბელოვის არმია შეიწიროსო.

——

დვინსკის და რიგის რაიონში გერმანელებმა ახალ-ახალი ძალები მოიყვანეს და სამხედრო ოპერაციები ერთობ გააცხოველეს.

ფრონტის დეკეშები

კავკასიის ფრონტი. 11 ოქტომბერს, ნაშუადღევზე, ოსმალებმა ბურუსით ისარგებლეს, მდ. არხავიზე გადავიდნენ და 4 ზედი-ზედ ეკვეთნენ რუსთა პოზიციებს ხოფის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მაგრამ მოგერებულ იქმნენ. რუსთა ზარალი მეტად მცირეა. ტორტუმის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოწინავე რაზმთა შეტაკებაა. დანარჩენ ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

პეტროგრადი, 13 ოქტომბერი. ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. დვინის მარცხენა ნაპირზე, იკსკიულის სამხრეთით, გერმანელები შეეცადნენ უეცრივი იერიშით შეცვივნილიყვნენ რუსთა ერთ-ერთს სიმაგრეში. ჩვეულებრივ არტილერიის სროლით მათ ამ იერიშისთვის ნიადაგი არ მოუმზადებიათ. მაგრამ დროზე აღმოაჩინეს მათი განზრახულება და მოიგერიეს კიდეც. დვინზე, ლინგენის რაიონში, ფრიდრიხშტადტის ქვემოდ, საარტილერიო და თოფის სროლაა. დვინის მარცხენა ნაპირზე, იაკობშტადტის დასავლეთით, მკვირცხლი საარტილერიო სროლაა. ილლუკსტის აღმოსავლეთ რაიონში გერმანელთა ახალ ლაშქრობას არავითარი ნაყოფი მოუცია მათთვის. სოფ. ვოინიუნის მახლობლად ბრძოლა გამკაცრდა. რუსებმა ეს სოფელი აიღეს. დანარჩენ ფრონტზე სამხრეთით მდ. პრიპიატამდე არავითარი მნიშვნელოვანი რამ მომხდარა. სტრის მარცხენა ნაპირის რაიონში, რაფაელოვკის ჩრდილო-დასავლეთით, რუსის ჯარები შეიჭრნენ სოფ. ბულკუ გალუზი-სკში და ტყვე და ტყვიისმფრქვეველები წამოიყვანეს. სოფ. მედვეჟავიესთან მტერი იერიშით წამოვიდა, მაგრამ შეჩერებულ იქმნენ რუსების მიერ. მტერმა კარგა ძალებს მუყარა თავი და იერიშით გამოემართა სოფ. კუკლის რაიონისკენ, კოლკის ჩრდილოეთით, სასტიკი ბრძოლის შემდეგ, რუსებმა მოახერხეს მათი შეჩერება. ტყვედ წამოიყვანეს 7 აფიცერი და 200 ჯარისკაცი. სოფ. კომაროვთან გუშინ ჯერ მტერმა გაიმარჯვა, მაგრამ რუსის მხედრობის მამაცურმა თავგანწირულებამ განსაცდელს გადაარჩინა ძმები, თვით მტერს შემოერტყა და ბლომად გასწყვიტა კიდეც. ტყვეთა შორის გერმანელებიც ურევიან. ვოლიცის დასავლეთით მტერმა სამჯერ მოიტანა იერიში, მაგრამ ყოველთვის შეჩერებულ იქმნა. დახოცილთა გვამებით მოფენილია ველი.

„ფოლადის მუშტი“

მაკენზენმა გადასდგა ნაბიჯი ბალკანეთზე და სწრაფად მსოფლიო ყურადღება მილურსმა ახლა აქ. რა მოუვა სერბეთს? გადაჰქელავენ? შესძლებს ეს „შავი არწივი“, როგორც მას უწოდეს გერმანიაში, მთელი სერბეთის გასრესას და გამარჯვებულ კეისარივით შევა სტამბოლში, თუ მოკავშირენი შეჰბოჭავენ და მის ფოლადის მუშტის დამსხვრევით უკანასკნელ კატავაპსიას უგალობებენ მთელს მის ლაშქრობას? არიან ისეთნი, ვინც ჰფიქრობენ, რომ ბალკანეთი გადასჭრის ამ საშინელ ომის ბედსაო. მაკენზენ-ფერდინანდი სერბეთში, მათი გამარჯვება და მარცხი,—აი ის საკითხები, რამაც დასჩრდილა საზღვაპრო ლაშქრობანი გალიციისა, რუსეთის ტერიტორიაზე და თვით ფრანგთა უკანასკნელი გამარჯვება შამპანში. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, ვითომც დანარჩენ ფრონტზე, როგორც დასავლეთზე, ისე აღმოსავლეთით, საყურადღებო არა იყოს რა. მართალია, რომ გერმანელებმა რუსეთის ფრონტიდან ცენტრი თითქმის მთლად გააშიშვლეს ვიშნევსკის ტბიდან პინსკამდე, მაგრამ ის საკითხი, მთლად სერბეთში და დასავლეთ ფრონტზე გადიყვანეს ეს არმიები თუ შუაზე გაჰყვეს და ერთი ნაწილის შეჯგუფება მოახდინეს რუსეთის ტერიტორიაზე ბუნდოვან მდგომარეობაში რჩებოდა და თითქმის დღესაც რუს ავტორიტეტულ სამხედრო მიმომხილველთ გარდაწყვეტით ვერა უთქვამთ რა.

მაგრამ ამ ბოლო დროს დვინის რაიონში გერმანელთა აჩუჩუნება ჰმოწმობს, რომ სიჩუმე რუსეთის ფრონტზე დიდი ქუხილის წინამორბედი უნდა იყოს. უეჭველია, აი აქ, ამ რიგა-დვინის ხაზზე მზადდება „ფოლადის მუშტი“, აი აქ, ამ ხაზის გადალახვა, ოპერაციის მისწრაფება და რაც შეიძლება მალე განმტკიცება თითქმის ოცნებად გარდაექცათ გერმანელებს. ეს ნიადაგი უზრუნველ ჰყოფს მათ საზამთრო კამპანიისთვის და როგორც რუსის სამხედრო მიმომხილველი ოგლინი ამბობს, საგანგებოდ პეტროგრადისაკენ გასალაშქრებლადაც ეს აუცილებელი და მასთან უსაჭიროესი ბაზა გახლავთ.

თქმა არ უნდა, დვინა-რიგის ოპერაცია მარტო ეხლა არ დაწყებულა. აქეთკენ ერთი ხელობა უფრო წინაც იყვნენ შემოჭრილნი, როდესაც მაკენზენი ცენტრისკენ ცეცხლის ქარიშხლით მიჰგმინავდა. გვეხსომება ისიც, თუ ზაფხულში ერთხელ როგორ ფლოტიც მოიხმარეს, მაგრამ რუსის ფლოტმაც დიდი თავდაცვის უნარი გამოიჩინა და თითქმის მთლად ჩაჰფუშა გერმანელთა განზრახულება. აგვისტოს რიცხვებში გერმანელები მიადგნენ ფრიდრიხშტადს. მართალია, მათ თითქმის დვინსკსაც მიაღწიეს, მაგრამ

ნატვრა

ნეტავი მოვესწრებოდე
გლეხი აღარა ჩიოდეს,
დაუსრულებელ წუხილით,
ცრემლები აღარ სდიოდეს.
თავის ნაშრომსა, ნაოფლზე,
თვალი აღარა რჩებოდეს,
ნაცვალი, გხირი, მოვახშე,
კარზე არ მოადგებოდეს.
წლის სარჩო-საბადებელი
ვალში არ ეფანტებოდეს,
აოხრებული ცოლ-შვილი
არვისგან წიოკდებოდეს!

მიხ. ქავთარაძე.

ოპერაცია მათს საკეთილოდ არ დამთავრდა. შემდეგ სიყუჩე ჩამოვარდა, თუმცა დვინსკთან საარტილერიო სროლა არ შეუწყვეტიათ. ეხლა კი იერიშები განახლდა ერთსა და იმავე დროს ჩვენ ვხედავთ, რომ გერმანელები შეიჭრნენ ტყის ნაწილში და რიგისკენ გაჰკრეს გეზი. გაცხოველდა თვით დვინსკის ოპერაციაც. დღიდან დღეზე დეპეშებით აღნიშნავენ ბრძოლის გამძაფრებას. სჩანს ეხლა დემონსტრაციასთან არა გვაქვს საქმე. სჩანს, გერმანელთა ახალი ლაშქრობა გარდამწყვეტი ოპერაციაა. ტყუილია ის მოსაზრება, ვითომც გერმანელთ აქ მხოლოდ ყურადღების მიპყრობა ჰსურდეთ. არც იმისი დიდი იმედი უნდა გვქონდეს, რომ რაკი სერბეთში ჯარები გადაჰრეკეს, აქეთ საკმაო ძალები აღარ დარჩებოდათო. ძალთა შემოკრება, ასეთი დაჟინებითი წინსვლა, მსხვერპლის მოურიდებლობა, შეუწყვეტელი საარტილერიო ცეცხლის ქარიშხალი აშკარად ჰმოწმობს, რომ გერმანელთ ახლა აქ ჰსურთ რკინის პალოს დაკვრა. საგულისხმიეროა ეს ლაშქრობა. ამ ფარულ „ფოლადის მუშტის“ დარტყმით, მისი დალურსმვით, ანუ მისი დამსხვრევით უნდა დამთავრდეს საშემოდგომო კომპანია. აი, ამ მხრივ არის ეხლა რუსეთის ფრონტი საინტერესო, აი ამიტომაა, რომ ნაკლებ მკვირცხლი ყურადღება მიიპყრო ამანაც, ვიდრე ბალკანეთის ლაშქრობა გახლავთ.

დიოგენი.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ყარსი. 12 ოქტომბერს დაიწყო გასამართლება ყარსის ოლქის 20 მუსულმანისა, რომელნიც სამართალში არიან მიცემულნი სისხლი სსამართლის დებულების 108 მუხლის ძალით. სასამართლოს თავმჯდომარედ არის გენერალი მანსვეტოვი. ასამდე მოწმეა დაბარებული. ბრალდებულთ იცავენ ნაფიც ვექილთა თანაშემწენი ტატიშვილი, კანტემიროვი და სახელმწიფო ვექილი პრაპორშჩიკი სავინოვი.

საზოგადოებანი და კრებები

დღეს, საღამოს 7 ნახ. საათზე, თავ.-აზნაურთა დეპუტატების საკრებულო დარბაზში დანიშნულია ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების მორიგი კრება. ბ-ნი ალ. ახმეტელაშვილი წაიკითხავს მოხსენებას ქართულ თეატრის მდგომარეობის შესახებ. მოხსენების შემდეგ, ამავე თემაზე, გაიმართება საუბარი. დასწრება ყველას შეუძლიან.

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების კრება.

18 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, **ახალ კლუბის** დარბაზში (სასახლის ქ.) დანიშნულია წევრთა არაჩვეულებრივი კრება.

განსახილველია: ახალი წევრების მიღება, წარსული წლის ანგარიში, გამგეობის და საზოგადოების განყოფილებათა მოხსენებანი, სიმშილობა, გამოქცეულთა საკითხი, სარევიზიო კომისიის არჩევა, ინსტრუქციის მიღება, ახალ ქართულ კულტურულ კავშირთა კავშირში მონაწილეობის მიღება და სხ.

ერეკვნული ახალი ამბავი

რეფორმები. კავკასიის სამეფისნაცვლოში განზრახულია დიდი რეფორმების მოხდენა, თანახმად მართვა-გამგებლობის წესისა, რომელიც არსებობდა მაშინ როდესაც დიდი მთავარი მიხეილი ნიკოლოზის ძე იყო მეფის ნაცვლად კავკასიაში. განზრახვა აქვთ სადიპლომატიო განყოფილება გახსნან მეფის ნაცვლის კანცელარიასთან.

✦ უცხოეთიდან რედაქციას მრავალი წერილი მოსდის რითაც გვატყობინებენ, რომ უცხოეთში მოტანებული ქართველები მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიანო. საჭიროა ჩვენმა დაწესებულებებმა თავიანთი წვლილი გამოიღონ და დაეხმარნენ, რათა ამით ჩვენი თანამემამულენი სიკვდილს გადავარჩინოთ.

✦ **სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევა.** 23 ოქტომბერს პეტროგრადში არჩეულ უნდა იქმნას რუსეთის თავადაზნაურთა მხრივ სახელმწიფო საბჭოს 6 წევრი. კვირას, 18 ოქტომბერს, ჩქარის მატარებლით მიემგზავრებიან პეტროგრადს ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი და მ. ვ. მაჩაბელი, რომელნიც სხვა გუბერნიების ამომრჩევლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ზემოხსენებულ არჩევნებში. გუშინ, $12^1/_2$ საათზე, თავ. ჩოლოყაშვილი და ბ-ნი მაჩაბელი მეფის ნაცვალმა, დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ, ინახულა.

✦ **ისევ საკვების საჭიროებაზე სოფლად.** აღმოსავლეთ საქართველოში კოოპერატივთა ბიუროები, გარდა კახეთის რაიონისა, როგორც ეტყობა, ვერ ახერხებენ ფქვილისა და ხორბლის ყიდვა-მოტანის მოწესრიგებას. დღემდე, რამდენადაც ჩვენ ვიცით, არც ერთს მათგანს არ უყიდნია პური და არც გადმოტანის შესახებ უზრუნვია. საჭიროება სოფლად-კი დიდია, რომელიც დაუყოვნებლივ თხოულობს დაკმაყოფილებას. სოფლელები თბილისში ჩამოდიან ხორბლის და ფქვილის სასყიდლად, მაგრამ აქაც ვერ შოულობენ და ისევ ხელცარიელნი ბრუნდებიან სოფელში. აქ იყო, მაგალითად, საგურამოს წვრილ კრედიტის თავმჯდომარე ბ-ნი ნესტორ ძიძიგური, რომელსაც 100 ტომარა ფქვილი უნდა ეყიდნა, მაგრამ ძლივს-ძლიობით იშოვა 20 ტომარა.

✦ **ომიანობისაგან დაზარალებულთათვის.** ქალაქის ცენტრალ კომიტეტს, რომელიც ომიანობისაგან დაზარალებულთათვის მზრუნველობას ეწევა, 1914 წელს შემოსვლია 141.971 მან. 32 კაპ., მიმდინარე 1915 წელს 104.342 მან. 35 კაპ., სულ 246.313 მან 67 კაპ. ამ თანხაში შედის კერძო კაცთა და დაწესებულებათა შენაწირი 64.121 მან. 59 კ. პირველ ოქტომბრამდე დახარჯულა აღნიშნული თანხიდან სულ 235.204 მან. 57 კაპ. და გადარჩენილა 11.109 მან. 10 კაპ. დახარჯულ ფულის ანგარიშში შედის, სხვათა შორის, 32.300 მან., რომელიც გადმოხვეწილებისათვის დამხმარე კომისიას მიუღია, 11.983 მანეთი 67 კაპ. უსასყიდლო სასადილოებისათვის გადადებული 11.431 მან. 50 კაპ., რომელიც საგანგებო კომისიას მიუღია ჯარისკაცთათვის თამბაქოს სასყიდლად.

✦ **რედაქტორის გამართლება.** 13 სექტემბერს სამოსამართლო პალატაში გაირჩა „ზაკავკ. რეჩის“ რედაქტორად ნამყოფის დიმიტრი დუმბაძის საქმე. დუმბაძეს ბრალდებოდა, ვითომც მას, როგორც რედაქტორს, ხსენებულ გაზეთში დაბეჭდილ წერილის საშუალებით თბილისის პოლიტეხნიკუმის შესახებ ყალბი ცნობები გაევრცელებინოს მაშინდელ მეფის ნაცვალსა და იმის თანაშემწეზე. ოლქის სასამართლომ ბრალდებული დააჯარიმა 300 მანეთით, ხოლო ფულს თუ ვერ შეიტანდა, 3 თვის ციხეში ჯდომით. განაჩენი განსაჩივრებულ იქმნა სამოსამართლო პალატაში, რომელმაც დუმბაძე უდანაშაულოდ სცნა და გაამართლა.

✦ **ხოლერა.** 13 და 14 ოქტომბერს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერიანი 1 ერთი და ხოლერის ნიშნებით 1 კაცი. გამოეწერა ლაზარეთიდან 3 კაცი. გუშინ, 14 ოქტომბერს, ლაზარეთში იმყოფებოდნენ 78 ხოლერიანი და ხოლერის ნიშნებით 4 კაცი.

✦ **გადამდები სენი.** გუშინ, 14 ოქტომბერს, ქალაქის საავადმყოფოში იწვ-

ნენ: ქუნთრუშიანი 86, ხუნაგიანი 17, სახადიანი 57, ყვავილიანი 2, საოფლიანი 38, მუცელაიანი 5 კაცი.

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას ბ-ნმა მოსე ჯანაშვილმა შესწირა თავისი თხზულების—„მეხეთი“—1000 ცალი. საზოგადოების გამგეობამ 500 ცალი ამ წიგნებისა გაუგზავნა გასასყიდად თავისს განყოფილებებს.

სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოების ქართულმა სექციამ 13 ოქტომბერს გახსნა საღამოს კურსები (წერა-კითხვის სკოლა, მოზდილთათვის) ვერაზე (ოლლას ქუჩა, სახ. 52) და ნაძალადევში (ბოტეს სახლი).

უმცხვარი პური. უკანასკნელ დროს მეფურნეები და მეთორნეები საერთოდ უმცხვარ პურს ჰყიდიან. ამის გამო ქალაქის სავაჭრო-სამრეწველო ინსპექტორმა უბძანა თავისს ხელქვეითებს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მეპურეებს და საცა უმცხვარი პური აღმოჩნდება, ოქმი შეადგინონ.

სურსათი. 13 ოქტომბერს თბილისში მოტანილი იყო: ფქვილი 30 ვაგ., ხორბალი 1 ვაგ., შაქარი 3 ვაგ., კარტოფილი 8 ვაგ., მარილი 3 ვაგ., ქერი 7 ვაგ., ნავთი 1 ვაგ., ხილი 1 ვაგ., სპირტი 1 ვაგ.

დაჭრილი და ავადმყოფი ჯარისკაცნი. თბილისის ლაზარეთებში იმყოფებიან შემდეგი ჯარისკაცნი: მაჭავარიანი დათა სიმონის ძე, ჩხიკვიშვილი ირაკლი არ., ოსეფაშვილი ალექსი გიორგის ძე, ლიდიდაშვილი ვისილ იოსების ძე, შალვაშვილი ნიკო ზაქარიას ძე, გერსამია მიტროფანე, თევზაძე, ნოე გოგის ძე, აბრალოვი ალექსანდრე, აგლაძე ანტონ ზომის ძე, ბადალაძე ადამ ზაქარიას ძე.

პროვინციის ქრონიკა

დ. ჩხარი.

აქ არსებობს სამაზრო სასამართლო, რასაც მეტად მარჯვე ადგილი უჭირავს, რომ ზემო იმერნი ადვილად მოხვდნენ. ამ ბოლო ხანს სოფელ თერქოლის ზოგიერთა გავლენიან პირს განუძრახავს სასამართლო თავიანთ სოფელში გადიტანონ; სოფელი თერქოლა თითქმის მიუვალია და მეტად უხერხულ ადგილას მდებარეობს. თქმა არ უნდა, სასამართლოს იქ გადატანა გაუძნელებს ხალხს დროზე საქმის მოგვარებას. უმჯობესი იქნება სასამართლო ისევ დ. ჩხარში დარჩეს, რომ ყოველი კუთხის გლეხკაცი ადვილად ხვდებოდეს.

გ ო რ ი.

7 ღვინობისთვეს ქ. გორში ერთი ვაგონი ფხვნილი შაქარი შემოიტანეს.

---- გორის მაზრაში ჭირნახულს დიდი ფასი დაედო. ასევე გაძვირდა ტკბილის ფასი. იგი თითქმის არა ჩვეულებრივია. კოკა ტკბილი 15—20 მანეთს ფასობს, წინად კი მისი ფასი 5—8 მანეთს აღემატებოდა. სიმინდის მოტეხას და სხვა ჭირნახულის მოწევას უამინდობის გამოისობით ხალხი ვერ ახერხებს.

— ოც ამ თვისათვის ქ. გორში აპირებენ წარმოდგენის გამართვას. დასდგავენ ნ. შიუკაშვილის „მეგობრობა“-ს.

ო ზ უ რ გ ე თ ი.

აქაურმა ვაჭრებმა გასაოცრად გაავძირეს სანოვაგე. შაქარს ჰყიდიან გირვანქას 35 კაპ., მაკარონს 25 კაპ., პურს 7—9 კაპ. აგრედვე მიუწვდომელია ფართლეულობა და სხვა და სხვა ტანსაცმელი. კალოში, რომელიც ქუთაისში ვაჭარს უყიდია 2 მან. 50 კაპ. ოზურგეთში არც 4 მან. ჰყიდის.

ხ ი დ ი ს თ ა ვ ი.

აქაურებმა გადასწყვიტეს კოოპერატიულ დუქნის გახსნა.

ს. ს ა ქ ა რ ა.

მოსავალი ძლიერ ნაკლები ყოფილა, ხალხს შიმშილობა ეხლავე თავზარს სცემს.

რ ა ჭ ა.

გაჭირვება თან და თან ამრავლებს არა სასურველ მოვლენას. ძარცვა-გლეჯამ იმატა. ბნელნი ძალნი დათარეშობენ. ამას წინად მამასახლისს 400 მან. მიჰქონდა ჯარისკაცთა ოჯახებში დასარიგებლად. გზად ბოროტგამზრახველნი დახვდნენ და ფული წაართვეს. მებორნე ცეცაძეს ღამით სახლი გაუტეხეს და 400 მან. მოსტაცეს.

ქ უ თ ა ი ს ი.

მეღვინეობა-მევენახეობის კომიტეტმა საჭიროდ სცნო, ქუთაისში დაარსდეს ქიმიური ლაბორატორია.

— წ. კ. ს. ქუთაისის განყოფილებას აზრად აქვს წელსაც გამართოს ილიას საღამო.

— ქუთაისის ქალაქის გამგეობას სთხოვს ვინმე იოს. კაკაბაძე რიონის ნაპირას რამდენიმე საჟენ მიწას, სადაც უნდა ააგოს წვანილეულობის და ხილეულობისთვის სპეციალი შენობა.

შავი ქვის გაზიდვა.

ოთხ ღვინობისთვიდან ოცდა ათამდე, ჭიათურიდან გაიტანეს 100 ვაგონი (100,000 ფუთი) შავი ქვა.

წერილი ზემო იმერეთიდან.

თითქმის საქართველოს ყოველი კუთხე დღეს მეტად დამაფიქრებელ მდგომარეობაშია.

თავი, რომ დავანებოთ სხვა და სხვა ჩამორჩენა-დაკნინებას, ჩვენს წინაშე სდგება ხალხის საარსებო საკითხი—შიმშილობა.

დღეს ეს საშინელი მოვლენა—სენი მთელ საქართველოში ქრონიკული სახით შემოიჭრა. სხვა დროს მას კიდევ შეებრძოლებოდა ხალხი, მაგრამ დღევანდელ მომენტში, როს სოფელს უმთავრესი ძალა ბრძოლის ველზე ჰყავს, რა უნდა გააწყოს?

შორაპნის მაზრის უდიდეს ნუგეშად ყოველ წლივ ღვინის მოსავალი ითვლებოდა, აქაურ მხნე და გამრჯე მცხოვრებლებმა უკანასკნელ დროს საკმაოდ განავითარეს მეღვინეობის საქმე. დღეს შორაპნის მაზრის ყოველ მოსახლეს აქვს მშვენივრად გაშენებული ვენახი. საერთოდ სხვა ჭირნახულის მოსავალი ზემო იმერეთში ნაკლები იცის. წელს, როგორც სიმინდის და პურის მოსავალი ღვინის მოსავალიც მოისპო, ვენახებს ცუდ ამინდებთან ერთად შაბიამანის უქონლობამაც ბევრი ავნეს. ის ოჯახი, წინად რომ 200—300 მანეთის ღვინოს ჰყიდდა, წელს საშინაოდ სახმარ ღვინოზედაც ხელ-ცარიელი დარჩა. ზემო იმერლებს ხვალინდელი უბედური მომავალი საგონებელში აგდებს, ბევრი უმწეო ოჯახი 7—10 წლის ბავშვებს ჰგზავნის ქალაქებში ფულის საშოვნელად. შავი ქვის წარმოების შეჩერებამ სულ მთლად მოუსპო მცირეოდენი გასაქანიც კი. ჭიათურის მომუშავენი, რომელნიც ბრძოლის ველს გადარჩნენ, ამ ჟამად სოფლებში უსაქმოდ არიან.

მკაცრმა გაჭირვებამ ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი კუთხის მცხოვრებნი უკვე აამოქმედა საარსებო პურის საძებნელად. ამ დღეებში ოზურგეთში მოხდება თათბირი კოოპერატივებისა, მოუსავლობის წინააღმდეგ ზომების მისაღებად.

ზემო იმერეთში კი ხალხის თვით ამოქმედებაზე არაფერი ისმის, რაიც სამწუხაროა, რადგან სხვის იმედებზე დამყარებული ხალხი უმეტეს წილად ხახა მშრალი რჩება, როგორც ეს გასულ წელს მოხდა.

აუცილებლად საჭიროა ეხლავე ახმაურდეს ზემო-იმერეთის წვრილ კრედიტის დაწესებულებანი დაბა სოფლებში მოეწყოს კოოპერატიული დუქნები, მასწავლებლებმა უნდა განუმარტონ ხალხს კოოპერატივის მნიშვნელობა. ეხლავე უნდა იქმნას თადარიგი მიღებული სიმინდის შესაძენად და სხვ. თორემ შემდეგ გვიან იქნება „თითზე კბენანი“.

არც ზემო იმერეთის მეზობელ რაჭიდან მოგვდის საიმედო ამბავი. ისედაც მოუსავლიან რაჭას, ამ ბოლო დროის წყალდიდობამ და ნიაღვრებმა სრულიად მოუსპო ცოტაოდენი მოსავლის იმედიც. მთელ რაჭას სიმშილის აჩრდილი ადგას თავს, სოფლებში მუშაობის შემძლენი ქალაქებისკენ გარბიან და მეკურტნეობით ლამობენ დამშეულ ოჯახის გადარჩენას. წყალდიდობამ სრულიად გააოხრა და წალეკა ისედაც უვარგისი რაჭის გზები, მათ აღსადგენად მუშა ხელი არსად სჩანს.

ი. ჯიხაიშელი.

თეატრი და ხელოვნება

ქ. ქუთაისი. ქალაქის თეატრი. შაბათი, 10 ოქტომბერი. **„ყაჩაღები“**, ტრ. 5 მოქ. შილლერისა, თარგ. ნ. ავალიშვილისა.

შაბათს, 10 ოქტომბერს, ქ. ქუთაისში ქართველ მსახიობთა მიერ შ. დადიანის რეჟისორობით წარმოდგენილ იქმნა შილლერის ცნობილი ტრაღედია „ყაჩაღები“. როგორც აღვნიშნეთ კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ მსახიობებს დიდად აბრკოლებს თეატრის მოუწყობლობა, სცენის სიღარიბე და მასთან დაუკვირველობა. ტანისამოსის უწესრიგოდ ჩაცმა, პარიკების ულამაზოდ გაკეთება და სხვა ასეთები პიესას კარგად თამაშის დროსაც კი ელფერს უკარგავს.

10 ოქტომბრის წარმოდგენას, როგორც ყოველთვის, მიუხედავად მსახიობების სუსტი თამაშისა, ეს დაბრკოლებაც თან ახლდა...

შილლერის ტრაღედიას ქართველი საზოგადოება კაოგად იცნობს. არა მგონია რომ „ყაჩაღები“ ქართველ მკითხველს სცენაზე არ ენახოს და მის შინაარსს გაცნობილი არ იყოს. ამისთვის ჩვენ არ შეუდგებით თვით პიესის შინაარსის გადმოცემას და მის გარჩევას. ვიტყვით მხოლოდ მოთამაშეთა შესახებ. როლები განაწილებული იყო დასის საუკეთესო ძალთა შორის, მაგრამ მიუხედავად ამისა წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა.

პიესის მთავარი როლი კარლოსი აღებული ჰქონდა ს. ყალაბეგიშვილს, რომელიც ერთ ნიჭიერ მსახიობათ ითვლება და ქუთაისის საზოგადოებაც პატივსა სცემს, მაგრამ ამ საღამოს იგი მოისუსტებდა, განსაკუთრებით მეორე მოქმედებაში. აქ მან ვერ შესძლო დასურათება სევდა-კაეშნის და მწუხარების ცეცხლის მორევში მყოფ კარლოსის პიროვნებისა. მეორე ნაკლი მსახიობისა ის იყო რომ მეტად ჩქარობდა, სიტყვებს მკვახედ გაიძახოდა და სცენაზე მოძრაობა და ელფერი აკლდა. ვერც მესამე მოქმედება იყო სრული განხორციელება გმირი კარლოსისა. საერთოდ ბ. ყალაბეგიშვილის კარლოსი ცივი და უგრძნობელი გამოდგა.

მეორე მთავარ როლს ფრანცისას თამაშობდა ი. ზარდალიშვილი. ბ. ზარდალიშვილის ფრანცი მეტად ჩამოგავდა ქართული თეატრის ქურუმის, ლადო მესხიშვილის ფრანცის ლანდს. მეოთხე მოქმედებაში მსახიობს სრულიად აკლდა ფრანცის ფსიხოლოგიური განცდათა შეგნება. უნდა შევნიშნოთ აგრედვე, რომ ჩვენ გვინახავს ბ. მესხიშვილი ფრანცის როლში კუზით, ჰოტენტოტური თვალებით და ზანგისებური ცხვირით, ეს კი ბ. ზარდალიშვილის ფრანცს ყველა აკლდა. აგრედვე ყველამ იცის, რომ მეტად კოჭლია, მას უჯოხოდ სიარულიც არ შეუძლია; მართალია ბ. ზარდალიშვილი ამ წარმოდგენაზე ჯოხს დაატარებდა, მაგრამ ამ ჯოხს იგი ისეთ აღფრთოვანებაში მოეყვანა, რომ თავის სიკოჭლეც დავიწყებოდა. (?)

ბ. კორიშელი მაქსიმილიან ფონ-მორის როლში თავის ადგილას იყო. არა უშავდა ბ. მუსურუიძეს შპიჰელბერგის როლში.

ვერც ქ-ნ მარო მდივანმა შეასრულა ხეირიანად ამალიას როლი. ქ-მა მდივანმა ეს საღამო ცივად, უგემურად ჩაატარა.

კარგი იყო ი. ბარველი პატერის როლში. ნ. გვარაძე (შვეიცერის) და შ. ხონელი (როლლერის) როლებით ანსაბლს ხელს უწყობდნენ.

როგორც ყოველთვის ხდება ეს ქართულ სცენაზე, მეტად სუსტი იყო მასიური სცენები. სცენაზე გამოჰყავთ ყოველთვის სხვა და სხვა პირები, რომელნიც თავს მეტად უხერხულად ჰგრძნობენ. ყაჩაღების რიცხვი მეტად მცირე იყო. უმჯობესი იქნებოდა რამდენიმე კაცი კიდევ ეშოვნათ და სცენაზე გამოეყვანათ.

დაბოლოს არ შემიძლია არ ვუსაყვედურო თეატრის ადმინისტრაციას. მოქმედების დროს „გალიორკაზე“ დიდი უწესოება ხდება, ხმაურობა და უწმაწური სიტყვები მაყურებელს ნებას არ აძლევს პიესა წესიერად მოისმინოს. საჭიროა თეატრის ადმინისტრაციისაგან ამას ზედმეტი ყურადღება მიექცეს.

ნ,ა მი.

დ ე პ ე შ ე ბ ი

პარიზი, 12 ოქტომბერი. დღის ცნობა. შამპანში გუშინ ფრანგებმა ძალიან გაიმარჯვეს. აქ გერმანები მაგრად იდგნენ თავიანთ მეორე ხაზის წინ, ერთ მტკიცედ გამაგრებულ ადგილას და აქედან იგერიებდენ ფრანგების იერიშებს. ეს ადგილი დაცული იყო ლოკურტინის ძლიერის სიმაგრით სამხრეთ დასავლეთის მხარეზე, მენილელე-იურლის ჩრდილოეთით. ფრანგებმა ცხარე ბრძოლით აიღეს სიმაგრე. სიგრძე ჰქონდა დაახლოვებით ვერს-ნახევარი, სიგანე 120 საჟენი და შესდგებოდა სამი თუ ოთხი მწკრივი სანგრებისაგან, რომლებიც შეერთებულნი იყვნენ მიწის ქვეშა გვირაბებით. მიუხედავად იმისა, რომ სიმაგრის მოგერიებითი პოზიცია ძალიან გამაგრებული იყო და მიუხედავად ამ სიმაგრის დამცველთა თავგამოდებულ ბრძოლისა, ფრანგებმა, წინაასწარი დიდი საარტილერიო მომზადებისა და მკაცრი შეტევა-ძგერების შემდეგ, როგორც იქმნა აიღეს იგი დღის მიწურულში. გერმანებს დიდი ზარალი მოუვიდათ, ტყვედ 200 კაცი დასტოვეს.

პარიზი, 12 ოქტომბერი. საღამოს ცნობა: გერმანებმა დღეს სასტიკი კონტრიერიში მიიტანეს ფრანგებზე შამპანში, ლაკურტინის სიმაგრის მთელი ფრონტის გასწვრივ. მიუხედავად ამისა ფრანგებმა შეინარჩუნეს დაჭერილი პოზიციების აღმოსავლეთისა და დასავლეთის ნაწილები. გერმანებმა მხოლოდ ცენტრში დაიბრუნეს სანგართა რამოდენიმე უბანი, რომლისთვისაც გაცხარებული ბრძოლა სწარმოებს. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

პარიზი, 13 ოქტომბერი. დღის ცნობა. შამპანში ლაკურტონის სიმაგრის ცენტრში შეუბრალებელი ბრძოლაა გაჩაღებული; გამარჯვება რამოდენიმეთ ხან ერთ მხარეზე იხრება, ხან მეორე მხარეზე. ფრანგთა ჯარების შეუპოვარმა სიმტკიცემ და დაუყონებლივ შეტევაზე გადასვლამ ილაჯი გაუწყვიტა გერმანებს, რომელთაც შეუჩერებლივ მოჰქონდათ კონტრ-იერიშები. მოულოდნელი იერიშის წყალობით ფრანგებმა ერთი სანგარი დაიჭირეს მასიჟას ჩრდილო-აღმოსავლეთით, ეს სანგარი სულ მახლობლად მდებარეობს გუშინ ფრანგების მიერ დაჭერილ პოზიციებთან.

— ცნობა აღმოსავლეთის არმიის შესახებ. 9 ოქტომბერს ბულგარებმა მთელი ფრონტის გასწვრივ იერიში მიიტანეს ფრონტებზე, რომელთაც ეჭირათ სტრუმბიცის რაიონი: ბულგარები სულ ერთიანად დამარცხდენ.

მართალი სიტყვა, თითქოს ბულგარებს ფრანგები გადმოერეკოთ ვარდარის მარჯვენა ნაპირზე.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა.

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

თელავისა ტ წნორისკენ დილ.	8 ს. 58 წ.
გურჯაანში მიდის ნაშუადღევის	3 ს. 53 წ.
გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის	4 ს. 53 წ.
თელავში მიდის ნაშუადღევის	5 ს. 35 წ.
გურჯაანიდან წნორზე მიდის	4 ს. 18 წ.
წნორზე მიდის	5 ს. 15 წ.

თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:

დილის	8 ს. 58 წ.
გურჯაანში მოდის	10 ს. 26 წ.
წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის	10 ს. 16 წ.
გურჯაანში მიდის	10 ს. 16 წ.
გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის	10 ს. 46 წ.

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3	ბაქოდან	12 ს. 54 წ. დღ.
№ 4	ბათომიდან	5 ს. 55 წ. საღ.
№ 5	ბაქოდან (სწრაფი)	7 ს. 41 წ. საღ.
№ 10	ბათომიდან	9 ს. 51 წ. დილ.
	ჯულფიდან	6 ს. 53 წ. დილ.
	ბორჯომიდან	7 ს. 25 წ. დილ.
	„ საადგარ.	10 ს. 28 წ. საღ.

თბილისიდან გადის:

№ 3	ბათომისკენ	1 ს. 45 წ. დღ.
№ 4	ბაქოსკენ	7 ს. 3 წ. საღ.
№ 6	ბაქოს (სწრაფი)	12 ს. 8 წ. დღ.
№ 9	ბათომისკენ	8 ს. 33 წ. საღ.
	ჯულფისკენ	10 ს. 23 წ. საღ.
	ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ. დღ.

წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა

„ახალი სიტყვა“ („НОВАЯ РѢЧЬ“).

ი. დ. კ ი ტ ნ ა ძ ი ს ა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, სბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—46)

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკასკოელოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნი ა. ალდონისა **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბეგლარ ახოპირელისა, **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვადასხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ, **მაილოვის-ფვით**“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა,** მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ელექტრომბეჭდავ სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან